# განმარტებითი ბარათი და მასალათა სპეციფიკაცია

პროექტის შემადგენლობა

| № | დასახელება | ფურცელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | საერთო მონაცემები; ზოგადი მონაცემები, მასალების სპეციფიკაცია და პირობითი აღნიშვნები | სდ-1 | |
| 2 | სართულის გეგმა | სდ-2 | |

ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქ. №4-ში, განთავსებული ლომბარდის რეკონსრუქციის პროექტის ამ ნაწილით გათვალისწინებულია სუსტი დენების შიდა ქსელების მოწყობა. სარეკონსტრუქციო შენობამდე ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის მიყვანას განახორციელებს პროვაიდერი. ლომბარდში, ტექნიკურ სათავსში, განთავსდება საკომუნიკაციო კარადა (Rack 12U)(Server Cabinet გაგრილებისა და თერმორეგულირების სისტემით). 600X600X595(სიმაღლე) ზომით. საკომუნიკაციო კარადაში დამონტაჟდება: ერთი 16 პორტიანი ქსელის კომუტატორი, ერთი უწყვეტი კვების წყარო, საკომუნიკაციო კარადაში ჩასაყენებელი უწყვეტი კვების წყარო 1500 ვტ 2U, ერთი საკომუტაციო პანელი (პაჩპანელი) (19" FTP Cat. 5 Patch panel 24ports RJ45); აგრეთვე, დამაგრდება ერთი კვების დისტრიბუციის სისტემა PDU, ერთი კაბელის ვერტიკალური სამაგრი (ორგანეიზერი). საკომუნიკაციო კარადისათვის (ოპტიკური საკომუტაციო პანელისა - ODF და სხვა დამხმარე მოწყობილობის მონტაჟს შენობაში შემავალი კაბელის გამოსაყვანად უზრუნველყოფს პროვაიდერი). საკომუნიკაციო კარადაში მოწყობილობების მონტაჟის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი სივრცე, რათა კარადის გვერდებისა და კარის დახურვის დროს, არ მოხდეს საკომუნიკაციო და ძაბვის კაბელების დაზიანება. ყველა სააბონენტო წერტილი ჩაირთვება საკომუნიკაციო კარადაში განლაგებულ პანელებში. სამუშაო ადგილთან მივა ქსელის კაბელი. ასევე, ლომბარდის ორივე სამუშაო სივრცეში(სალაროსა და თელერების) მივა თითო სარეზერვო ქსელის კაბელი, გეგმაზე მოცემული სქემის მიხედვით.

შეკიდულ ჭერს ზემოთ, საკომონიკაციო კარადიდან-ქსელის კაბელების მიყვანის ადგილებამდე და აგრეთვე ფართში შესასვლელ კარამდე გავა 60X100X0.75 ზომის საკაბელო ხონჩა. ქსელის კაბელები დაიდება საკაბელო ხონჩაზე, საიდანაც თაბაშირ მუყაოსა და ლითონის კედლების პროფილის გავლით, სამუშაო ადგილებთან კაბელი გამოვა კედლიდან და მივა სამუშაო მაგიდამდე, სადაც დაიდგმება სასშტეფსელო როზეტები, ხოლო ქსელის კაბელის სარეზერვო მიყვანის ადგილებზე, საშტეფსელო როზეტი დამონტაჟდება თაბაშირმუყაოს კედელზე, იატაკიდა 0.4მ სიმაღლეზე. საკაბელო ხონჩიდან, სამუშაო მაგიდებამდე და თაბაშირმუყაოზე საშტეფსელო როზეტები დამონტაჟების ადგილებამდე კაბელები ჩაიდება პლასტმასის დ=16მმ გოფრირებულ მილში, ხოლო სამუშაო მაგიდაზე გავა 20X20 ზომის პლასტმასის საკაბელო არხში, ყველა გამოყენებული მასალა, უნდა იყოს ცეცხლგამძლე. აუცილებელია საკაბელო ხონჩის გადაბმის ადგილების და ბოლოების დამიწება. ქსელი მოეწყობა ნაცრისფერი კაბელით FTP cat. 5 და დაბოლოვდება RJ-45 როზეტით;

საკაბელო არხები უნდა მოეწყოს ელექტროკვების საკაბელო არხებიდან მინიმუმ 35 სანტიმეტრის დაცილებით.

შენობაში დამონტაჟებული ყველა აპარატურული კარადასა და აპარატურისათვის მოეწყოს დამოუკიდებელი დამიწების სისტემა, სისტემა მოეწყოს მაღალვოლტაჟიანი სპილენძის სადენით, ANSI/TIA/EIA-607 სტანდარტების შესაბამისად (მაქსიმალური წინაღობა 4 ომი).

დაუშვებელია საკომუმიკაციო კარადისა და აპარატურის დამიწება შენობის ლითონის კონსტრუქციაზე.

საკომუნიკაციო კარადისა და აპარატურის დამიწების სისტემები შენობის მეხამრიდის დამიწების სისტემისაგან უნდა იყოს დაშორებული არანაკლებ 20 მეტრით.

ფალსიფიცირებული საკომუნიკაციო აპარატურის შესყიდვის შესაძლებლობის გამოსარიცხად, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება სისტემების გამართულ და საიმედო ფუნქციონირებაზე, აუცილებელია, მომწოდებელმა კომპანიებმა, ყოველ შემოთავაზებაზე წარმოადგინონ აპარატურაზე მინიმუმ, ერთი წლიანი საგარანტიო ვადა.

ეს პროექტი შესრულებულია არქიტექტურული ნახაზების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული ნორმებით და წესებით.

| # | პირობითი აღნიშვნები | მასალის დასახელება | ერთ. დას. | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 |  | საკომუნიკაციო კარადა ღაცკ 12 შერვერ ჩაბინეტ(გაგრილებისა და თერმო რეგულირების სისტემით) 600X600X753(სიმაღლე) ზომით | ც | 1 |
| 2 | | უწყვეტი კვების წყარო(საკომუნიკაციო კარადაში ჩასაყენებელი 1500 ვტ. 2U | | 1 |
| 3 | | საკომუტაციო პანელი (პაჩპანელი) (19" FTP Cat. 5 Patch panel 24port RJ45) | | 1 |
| 4 |  | 16 პორტიანი ქსელის კომუტატორი | | 1 |
| 5 |  | RJ - 45 როზეტი ერთ როზეტზე | | 10 |
| 6 | | საკომუტაციო კაბელი (პაჩკორდი)Patch cords FTP cat.5-1m. | | 10 |
| 7 | | საკომუტაციო კაბელი (პაჩკორდი) Patch cords FTP cat.5-2m. | | 10 |
| 8 | | ქსელის კაბელი(ნაცრისფერი) FTP cat. 5 | გრ.მ. | 500 |
| 9 | | პლასტმასის გოფრირებული მილი დ=16მმ | | 250 |
| 10 | | პლასტმასის საკაბელო არხი 20X20 | | 40 |
| 11 |  | პლასტმასის საკაბელო არხის 20X20 აქსესუარები (მუხლი, გამაშტოებელი) | ც | 40 |
| 12 | | ლითონის საკაბელო ხონჩა 60X100X0.75 | გრ.მ. | 20 |
| 13 | | ლითონის საკაბელო ხონჩის ჭერზე სამაგრი | ც | 20 |
| 14 | | ლითონის საკაბელო ხონჩის კედელზე სამაგრი | | 3 |
| 15 | | ლითონის საკაბელო ხონჩის გადასაბმელი | | 10 |
| 16 | | ლითონის საკაბელო ხონჩის გამაშტოებელი სამი მიმართულებით | | 3 |
| 17 | | ლითონის საკაბელო ხონჩის კუთხე | | 4 |
| 18 | | კაბელის ვერტიკალური სამაგრი (ორგანეიზერი)12UServer Cabinet-ისათვის | | 1 |
| 19 | | კვების დისტრიბუციის სისტემა PDU საკომუნიკაციო კარადისათვის | | 1 |
| 20 | | დამიწების ელექტროდი (ჯვარისებრი) 1,5მ. სიგრძით | | 6 |
| 21 | | დამიწების ელექტროდზე გლინულას სამაგრი 8-10მმ | | 5 |
| 22 | | დამიწების ელექტროდზე 2 გლინულას სამაგრი 8-10მმ | | 1 |
| 23 | | დამიწების შემაერთებელი საკლემო ბლოკი | | 1 |
| 24 | | დამიწების გლინულა დ=8მმ, გალვანიზირებული | გრ.მ. | 50 |
| 25 | | დამიწების ყვითელ-მწვანე კაბელი | | 50 |

| ფორმატი PAPER SIZE | დაკვეთა № CONTRACT № | პროექტის № PROJECT № | ფაილის სახელი FILE NAME |
|---|---|---|---|
| A3 | ... | ... | ... |

პირობითი აღნიშვნები LEGEND

შენიშვნები NOTES

სიტუაციური სქემა KEY PLAN

დამკვეთი PROJECT — სს "საქართველოს ბანკი" ს.კ. 204378869

პროექტი PROJECT — ლომბარდი რეკონსტრუქციის პროექტი

მისამართი ADDRESS — ქ.სამტრედია ჯავახიშვილის №10

| თანამდებობა Position | სახელი, გვარი Name, Surname | ხელმოწერა Signature |
|---|---|---|
| დირექტორი Director | ი. ბარნაბიშვილი I. Barnabishvili | |
| დირექტორი Director | ნ. ალექსიადისი N. Aleksiadis | |
| პრ. მთ. არქიტექტორი Chief Architect of the Project | ნ. ალექსიადისი N. Aleksiadis | |
| კონსტრუქტორი Constructor | | |
| მთ. ტექნოლოგი Chief Technologist | | |
| შეასრულა Performing work | | |
| შეამოწმა Checked by | | |

APEX Studio 1

სუსტი დენები

| მასშ. SCALE | 1:69.45 | თარიღი DATE OF ISSUE | 03.07.2024 |
|---|---|---|---|

ნახაზი DRWG. როუნდ Fლოორ (34)

კორექტირება REVISIONS

| № | კორექტ. REV. | თარიღი DATE |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |

| სტადია STAGE | ინდექსი INDEX | ფურც. PAGES |
|---|---|---|
| მუშა პროექტი Working Draft | A.01.1 | sd - |

# სართულის გეგმა

## მასშტაბი 1-75




| ფორმატი PAPER SIZE | დაკვეთა № CONTRACT № | პროექტის № PROJECT № | ფაილის სახელი FILE NAME |
|---|---|---|---|
| A3 | ... | ... | ... |

პირობითი აღნიშვნები — LEGEND

შენიშვნები — NOTES

სიტუაციური სქემა — KEY PLAN

| | |
|---|---|
| დამკვეთი PROJECT | სს "საქართველოს ბანკი" ს.კ. 204378869 |
| პროექტი PROJECT | ლომბარდი რეკონსტრუქციის პროექტი |
| მისამართი ADDRESS | ქ.სამტრედია ჯავახიშვილის №10 |

| თანამდებობა Position | სახელი, გვარი Name, Surname | ხელმოწერა Signature |
|---|---|---|
| დირექტორი Director | ი. ბარნაბიშვილი I. Barnabishvili | |
| დირექტორი Director | ნ. ალექსიადისი N. Aleksiadis | |
| პრ. მთ. არქიტექტორი Chief Architect of the Project | ნ. ალექსიადისი N. Aleksiadis | |
| კონსტრუქტორი Constructor | | |
| მთ. ტექნოლოგი Chief Technologist | | |
| შეასრულა Performing work | | |
| შეამოწმა Checked by | | |

APEX Studio 1

სუსტი დენები

| მასშ. SCALE | 1:55.44 | თარიღი DATE OF ISSUE | 03.07.2024 |
|---|---|---|---|

ნახაზი DRWG.
როუნდ Fლოორ (35)

კორექტირება REVISIONS

| № | კორექტ. REV. | თარიღი DATE |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |

| სტადია STAGE | ინდექსი INDEX | ფურც. PAGES |
|---|---|---|
| მუშა პროექტი Working Draft | A.01.2 | sd - |